განკარგულება:**g-49. 49250877**
თარიღი:**28/03/2025**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის მიერ 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ანგარიში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის მიერ 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის `ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის~ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 26–ე მუხლის მეორე პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ანგარიში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის მიერ 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის მიერ 2024 წელს გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ა ნ გ ა რ ი შ ი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის მიერ 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისია წარმოადგენს საკრებულოს მუდმივმოქმედ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტითა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის დებულებით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა განხორციელებას. კომისია შექმნილია საკრებულოში საკითხების წინასწარი მომზადების და გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის მიზნით. კომისია მუშაობას წარმართავს სამუშაო გეგმის მიხედვით. ასევე, განიხილავს საკრებულოში შემოსულ რიგგარეშე საკითხებს.

ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისია კოორდინირებულ მუშაობას ახორციელებს საკრებულოს კომისიებთან, მუნიციპალიტეტის მერიასთან და შესაბამის სამსახურებთან. კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში საკრებულოს სხდომისთვის ამზადებს საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტებს, დასკვნებს, წინადადებებს, რეკომენდაციებს და წარუდგენს საკრებულოს ბიუროს. განიხილავს წერილებს, რის თაობაზეც, არსებული წესით, მოახსენებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, ბიუროსა და საკრებულოს სხდომებს. საქართველოს კანონმდებლობით, საკრებულოს რეგლამენტითა და კომისიის დებულებით ახორციელებს მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიამ 2024 წელს ჩაატარა 18 სხდომა, სადაც განხილული იქნა 64 საკითხი. კერძოდ,

18 იანვარი:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.
3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შენობაში(საკ.კოდი N29.14.34.284) განთავსებული 42 კვ.მ. ფართის სანოტარო საქმიანობის განხორციელების მიზნით, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის უფლებით 1 (ერთი) წლის ვადით გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

26 იანვარი:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.
3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და მიხეილ იაშვილს შორის 2020 წლის 18 ივნისს გაფორმებულ N1 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.
4. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებისათვის“ სამსახურეობრივი საჭიროებისათვის სარგებლობის უფლებით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული მსუბუქი ავტომანქანა ,,SKODA OCTAVIA” (სახელმწიფო ნომერი AA-512-CC) გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

23 თებერვალი:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენისა და ტერიტორიული ზონირების შესახებ.
3. ქალაქ წყალტუბოში, 9 აპრილის ქუჩის პირველი შესახვევისათვის სახელის მინიჭების შესახებ, მიზანშეწონილობის თაობაზე.
4. ქალაქ წყალტუბოში, 9 აპრილის ქუჩის პირველი შესახვევისათვის სახელის მინიჭების შესახებ.
5. წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.
6. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით - იჯარით გადაცემისას ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ.
7. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანებისათვის“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რიცხული ავტობუსის მარკა/ მოდელი ISUZU NOVOCITI BUS, ვინ ნომერი: NNAMOBVLN02005149 საკუთრებაში გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

20 მარტი:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გვიშტიბში მდებარე უძრავი ქონების (საკ.კოდი N29.07.35.068) სამსახურეობრივი საჭიროებისათვის, უსასყიდლო უზუქრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით, არსებობის ვადით ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრი“-სათვის გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.
2. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრისათვის “ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სარგებლობაში (ბალანსზე რიცხული) არსებული ავტომანქანის TOYOTA CAMRY სახ. ნომერი ZT890ZT სამსახურეობრივი საჭიროებისათვის, სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.
3. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრისათვის“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტომანქანების -OPEL VEQTRA B სახ. ნომერი NN683KK. - სპეცავტომანქანა ,,IVECO'' ს/ნ ZCFC6500005536845. AA 890 QA. -გრეიდერი ს/ნ XUG19030HGDB00039. AA 652 D. - ავტომანქანა ,,MERSEDES BENZ'' სახ. ნომერი DD 773 DU სამსახურეობრივი საჭიროებისათვის, საკუთრებაში გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.
4. ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა N27-ში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობის (საკ.კოდი N29.08.34.107) პირველ სართულზე განთავსებული სამი ოთახის (21.375 კვ.მ.; 21.375 კვ.მ. და 33.5 კვ.მ., სულ 76.25 კვ.მ. ფართის) სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, არსებობის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრი“-სათვის გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.
5. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრი“-სათვის 104 (ასოთხი) ცალი პლასტმასის ნაგავშემკრები კონტეინერის (ღირებულება 61880 სამოცდაერთიათასრვაასოთხმოცი ლარი) უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

29 მარტი:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.
2. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 18 იანვრის N გ-49.49240182 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
3. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 18 იანვრის №გ-49.4924018001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
4. ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით, პირობებით სარგებლობის უფლებით გადაცემის'' 2016 წლის 31 მაისის №10 და ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით, პირობებით სარგებლობის უფლებით გადაცემის'' 2016 წლის 31 მაისის №11 ხელშეკრულებების (2022 წლის 12 დეკემბრის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით, პირობებით სარგებლობის უფლებით გადაცემის ხელშეკრულების (ჩანაცვლების) N7.) შეწყვეტის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.
5. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ.
6. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრისათვის“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტომანქანის VAZ 2121 (NIVA), საიდენტიფიკაციო ნომერი: XTA212140V1289341, სახ. ნომერი SS 999 MX სამსახურეობრივი საჭიროებისთვის, საკუთრებაში გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.
7. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრისათვის “ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტომანქანის VOLKSVAGEN PASSAT VARIANT საიდენტიფიკაციო ნომერი: WVWZZZ3BZWE160096, სახ. ნომერი SC 656 CC სამსახურეობრივი საჭიროებისთვის, საკუთრებაში გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.
8. მოქალაქე ბორის პუშენკოს განცხადების განხილვის შესახებ.

12 აპრილი:

1. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრისათვის“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტომანქანების IVECO; მოდელი: EUROCARGO ML120 E22; საიდენტ. ნომერი ZCFAE1EG702747870; სახ. ნომ. UU 274 DU და IVECO; მოდელი: EUROCARGO ML120 E22; საიდენტ. ნომერი ZCFAE1EG402748023; სახ. ნომ. UU 273 DU. სამსახურეობრივი საჭიროებისათვის, საკუთრებაში გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

26 აპრილი:

1. „ქალაქ წყალტუბოს გენერალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 სექტემბრის #30 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
2. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრისათვის“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების-ტუმბო (მოტო პომპა) 2 (ორი) ცალი, სილიკონის მილი D-80 მმ დიამეტრის, 50 (ორმოცდაათი) გრძივი მეტრი, გენერატორი ASTRA KOREA (AST 3700, მაქსიმალური სიმძლავრე: 2,6 კვტ.) სამსახურეობრივი საჭიროებისათვის, საკუთრებაში გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

31 მაისი:

1. შპს „მაგთიკომი“-სათვის სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. წყალტუბოში რუსთაველის ქუჩა #27-ში ს/კ 29.08.34.107 მდებარე 2 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე განთავსებული რკინის კონსტრუქციის (ანძა) ნაწილი ანტენისა და აპარატურის განთავსების მიზნით, გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.
2. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 18 იანვრის №გ-49.4924018001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუმბრაში, სამშენებლო კომპანია „ეკრანი+“ -ის საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთში (ს/კ 29.09. 41 074) „მწვანე ქალაქი“ საცხოვრებელი უბნის მშენებლობასთან დაკავშირებით განაშენიანების დეტალური გეგმის ინიციირების შეთანხმების თაობაზე.
4. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით - იჯარით გადაცემისას ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ.
5. შპს „რეტრო იმერეთი“-სათვის (ს/კ 412777400) ტურისტური ზონის მოსაწყობად, 49 წლის ვადით, იჯარით, შესაბამისი პირობებით სარგებლობის უფლებით, ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა N39ა-ში მდებარე უძრავი ქონების (საკ.კოდი N29.08.37.069) გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

18 ივნისი:

1. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრისათვის“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სპეციალიზებული ავტომანქანის მარკა: IVECO; მოდელი: EUROCARGO ML180 E25; საიდენტ. ნომერი ZCFA51TJ002748762; სახ. ნომ. NT 341 NN სამსახურეობრივი საჭიროებისათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

28 ივნისი:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუმბრაში, მოქალაქე მირანდა კიკვიძის საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთში (ს/კ 29.09.43.043) საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით განაშენიანების დეტალური გეგმის ინიციირების შეთანხმების თაობაზე.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2024 წელს საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდის მიერ დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო წინადადებების განხილვისა და მოწონების შესახებ.
3. ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა N25-ში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველ სართულზე განთავსებული 81.4 კვ.მ. ფართის - 7 (შვიდი) ოთახის სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით სსიპ - სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოს /სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონული ცენტრი/ წყალტუბოს მუნიციპალური განყოფილებისათვის, განთავსების მიზნით, 2026 წლის 1 იანვრამდე გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.
4. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის 2024 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმის შესახებ.

26 ივლისი:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის მიერ 2024 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. მდგრადი განვითარების მიზნების წყალტუბოს მუნიციპალური დოკუმენტის დამტკიცების შესახებ.
3. ქალაქ წყალტუბოში, 9 აპრილის ქუჩა პირველი შესახვევი, №2-ში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობის (საკ. კოდი #29.08.37.055) პირველ სართულზე განთავსებული 164.8 კვ.მ. ფართის 1 (ერთი) წლის ვადით, საქმიანობის განხორციელების მიზნით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ა(ა)იპ სარეაბილიტაციო ცენტრის „ჩვენი სახლი"-სათვის გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.
4. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანებისათვის" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რიცხული ავტობუსის მარკა/მოდელი ISUZU NOVOCITI BUS, ვინ ნომერი: NNAMOBVLN02005149; სარგებლობაში გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.
5. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 18 იანვრის № გ-49.4924018001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
6. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 18 იანვრის N გ-49.49240182 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
7. სსიპ - სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნულ სააგენტოს, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და რეკრუტირების წყალტუბოს მუნიციპალური განყოფილებისათვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (ინვენტარი) სარგებლობაში გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

8 აგვისტო:
1. ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა №25-ში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობის (საკ. კოდი #29.08.34.014.01.507) პირველ სართულზე განთავსებული 36.6 კვ.მ. ფართის ა(ა)იპ „საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისათვის" „დღის საქმიანობის ცენტრის" მოწყობა/ფუნქციონირებისა და პროექტების ჯეროვნად იმპლემენტაციის უზრუნველსაყოფად, 2 (ორი) წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

30 აგვისტო:
1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2024 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით - იჯარით გადაცემისას ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ (მუნიციპალიტეტის მერის №48-4824239173, 26/08/2024 წერილის განხილვა).

24 სექტემბერი:
1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ 2024 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირში, შპს „ჯეოვიტ გრუპ"-ის საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთში (ს/კ 29.12. 37. 829) საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობასთან დაკავშირებით განაშენიანების დეტალური გეგმის ინიციირების შეთანხმების თაობაზე.

3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის 2024 წლის მეოთხე კვარტლის სამუშაო გეგმის შესახებ.

22 ოქტომბერი:

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრი"-ს მიერ 2024 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

19 ნოემბერი:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ.
2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის ცენტრის" მიერ 2024 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით გადაცემისას - საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ.
4. სს „სილქნეტი"–სათვის 5 (ხუთი) წლის ვადით, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით, ქალაქ წყალტუბოში, დედა ენის ქუჩაზე ს/კ 29.00.672 მდებარე 5 (ხუთი) ერთეული გარე განათების კონსტრუქციის გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.
5. 160 (ასსამოცი) ერთეული პლასტმასის ნაგავშემკრები კონტეინერის, რიცხული წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე, რომელთა ღირებულება შეადგენს 86880 (ოთხმოცდა ექვსი ათას რვაას ოთხმოცი) ლარს, ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების ცენტრი"-სათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

29 ნოემბერი:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2024-2025-2026 წლებში საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდის მიერ დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო წინადადებების განხილვისა და მოწონების შესახებ.
2. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანებისათვის" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ წყალტუბოში, შანიძის ქუჩა #1-ში მდებარე შენობის (საკ. კოდი #29.08.37.143) პირველ სართულზე განთავსებული 443.9 კვ.მ. ფართის სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.
3. ქალაქ წყალტუბოში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებში (ს/კ 29.08. 35. 099 და ს/კ 29.08.33.865) განაშენიანების კოეფიციენტების (კ-1) და განაშენიანების ინტენსივობის (კ-2) განსაზღვრის შეთანხმების თაობაზე.

26 დეკემბერი:

1. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანებისათვის" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ავტობუსის მარკა/მოდელი ISUZU NOVOCITI BUS, ვინ ნომერი: NNAMOBVLN02005149; საკუთრებაში გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის 2025 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმის შესახებ.

კომისიის სხდომებზე განხილული პროექტები მომზადებულად იქნა მიჩნეული ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე განხილვისათვის. რიგ შემთხვევაში, სხდომაზე დასმულ კითხვებთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურების მიერ წარმოდგენილი იქნა დამატებითი ინფორმაციები.

ზემოთ განხილულ საკითხებთან დაკავშირებით, საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის განყოფილებასთან ერთად მომზადებული სამართლებრივი აქტის პროექტები და სხდომაზე მიღებული კომისიის დასკვნები, გატანილი იქნა ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე განსახილველად, რაზედაც საკრებულოს მიერ მიღებულია შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.

ამავე პერიოდში განხილული იქნა სხვადასხვა შინაარსის განცხადება. რიგი წერილებისა განსახილველად გადაეგზავნა მუნიციპალიტეტის მერიას და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ ეცნობა განმცხადებლებს.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისია განაგრძობს მუშაობას კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.